ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4870006

ნომერი: AR1734559

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 24.02.2020

გაცნობის თარიღი : 24.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , N 39 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბოვიანი , N16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხანძთელი (ყოფ. მიასნიკოვი) , N 26/14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე კახიანი პ/ნ 01008002323
- თბილისი გრ.ხანძთელის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1734559 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში, N01.18.03.048.035 საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო განვითარებას და წარმოების დაწყების შემთხვევაში, ითხოვთ დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 02 დეკემბერს #AR1722247 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა #39; საკ. კოდი #01.18.03.048.007; და ქალაქ თბილისში, აბოვიანის ქუჩა #16 ; ხანძთელის ქუჩა (ყოფ. მიასნიკოვი) , #26/14 ; საკ. კოდი #01.18.03.048.028; მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა არ მომხადარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.